PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქოს) განხორციელების ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნია გუგუნავა

წევრები: ნანა ვერულაშვილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გუგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ. ბათუმის სამედიცინო აკადემია განთავსებული გახლდათ შპს მაღალტექნოლოგიურ ჰოსპიტალ მედცენტრში. ჰოსპიტალის დირექტორის წერილის თანახმად, პანდემიის გამო, ჰოსპიტალში საჭირო გახდა დამატებითი სივრცეების მოწყობა, ჰოსპიტალში განხორციელდა რეორგანიზაცია. აღნიშნული გარემოება გახლდათ კოლეჯის მიერ ფართის შეცვლის მიზეზი. ჰოსპიტალის ადმინისტრაციის მიერ, კოლეჯისათვის შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული ფართი შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი“ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ტბეთის ქუჩა #4.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს N768168 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის- „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით 2021 წლის 16 აგვისტოს განეხორციელებინა ვიზიტი ქ. ბათუმში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში. (განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ტბეთის N4).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას ცენტრში ჰქონდა წარმოდგენილი მხოლოდ განაცხადით წარსადგენი შესაბამისი დოკუმენტაცია ბრძანებაში განსაზღვრული კომპონენტების შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ექსპერტებმა ცენტრის საშუალებით მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, რაც მოწოდებულ იქნა დაწესებულების მიერ, გონივრულ ვადაში. ექსპერტებმა შეისწავლეს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავეს ვიზიტის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ვიზიტი შედგა 2021 წლის 16 აგვისტოს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს რიგი დოკუმენტებისა. ექსპერტები ადგილზე გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე პანდემიიდან გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით zoom-ის გამოყენებით განახორციელეს გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული

განათლების მასწავლებელთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან. ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ფართი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი აუდიტორიები,ა, ბიბლიოთეკა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიაში“ მიმდინარე წლის აპრილის თვეში განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფართის ცვლილების შესახებ. აღნიშნული წარმოება დაწესებულებამ შეწყვიტა თავისი სურვილით. წინა და ამჟამინდელი წარმოების დროს თავმჯდომარე გახლდათ ერთი და იგივე პიროვნება, გამომდინარე იქედან, რომ წინა წარმოების დროს დაწესებულების სრულყოფილად დათვალიერება ვერ მოხერხდა Zoom პლათფორმის გამოყენებით, 5.1 კომპონენტი (5.1.1-4 და 5.1.1-9 ინდიკატორები) ამჟამინდელ წარმოებაში შეფასდა მეტწილად, მაშინ როცა წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი იყო სრულ შესაბამისობაში. ვიზუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას თავის მფლობელობაში არსებულ მხოლოდ მე-2 სართული აქვს უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მე-3 სართული არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულების B გარემო, წინა წარმოების დროს განთავსებული იყო ბუნებრივი განათების მქონე ოთახში, ამჟამინდელი წარმოების დროს, ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შეცვლილი აქვს B გარემოსთვის დათმობილი აუდიტორია, რომელიც არ არის უზურნველყოფილი ბუნებრივი განათებით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, ხარვეზების გონივრულ ვადაში აღმოფხვრის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნის, რომ გამომდინარე იქედან, რომ წინა წარმოება გახლდათ დისტანციურ ფორმატში, ვერ მოხერხდა 5.1.2-4 ინდიკატორის მოთხოვნების სრულყოფილად დათვალიერება. ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით კონტროლდება შენობის მხოლოდ გარე პერიმეტრი, ხოლო შიდა პერიმეტრი არ არის უზრუნველყოფილი აღნიშნულით. დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ აღნიშნულ საკითხზე მოხდა მყისიერი რეაგირება და ვიზიტის დღეს დაწესებულების წარმომადგენლებმა შენობის შიდა პერიმეტრი (მე-2 და მე-3 სართულები) უზრუნველყვეს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილად შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		შეესაბამება

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომელთა შესრულების შემოწმება კავშირშია ამჟამინდელ წარმოებასთან:

- გასწორდეს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების კრედიტების რაოდენობა- შესრულებულია;
- ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს- შესრულებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსსმ სტუდენტებისთვის გადაადგილების უზრუნველყოფის ვალდებულება გაიწეროს დაწესებულებასა და დაცვის თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ფუნქციებში- შესრულებულია.

VI . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1-4 დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება ქონებით სარგებლობის თაობაზე. აღნიშნულის თანახმად, დაწესებულებას უფლება აქვს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძოს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ტერიტორიაზე (ქ.ბათუმი, ტბეთის ქუჩა #4), მე-2 და მე-3 სართულებზე. ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ შემოწმდა ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობა და გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: დაწესებულების სარგებლობაში არსებული მხოლოდ მე-2 სართულია უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მე-3 სართულზე განთავსებულია მხოლოდ კონდიციონერი გათბობისა და გაგრილების რეჟიმით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვიზიტზე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს ცენტრალური გათბობის სისტემის რადიატორების მონტაჟი. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო- 2021 წლის 1-ლი დეკემბერი). გასათვალისწინებელია, რომ შენობის მესამე სართულზე ამოყვანილია ცენტრალური გათბობის მილები, ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ გათბობის რადიატორების დამონტაჟება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1-9 დაწესებულების სასწავლო ფართის უმეტესი ნაწილი, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს დაწესებულების B სასწავლო გარემო (20 კომპიუტერი პროფ. სტუდენტებისათვის+ 1 კომპიუტერი პროფ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლისათვის), რომელიც არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს აღნიშნულ B გარემოში არსებული ტექნიკის განლაგება ადმინისტრაციის ორ კაბინეტში, რომელთაც აქვთ ბუნებრივი განათება. გეგმაში მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო- 2021 წლის 15 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ორ ოთახში განთავსებული იყო ორი ადმინისტრაიცული პირი ცალ-ცალკე. აღნიშნული აქტივობის განხორციელების დროს, მოხდება მათი გაერთიანება ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სხვა ოთახში. B გარემოს ორ აუდიტორიაში გადანაწილების დროს, ერთ ცვლაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობა (20) გაიყოფა B გარემოს გამოყენების დროს, რისთვისაც საჭირო გახდება ორი პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა, ერთი კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, დაწესებულებას ჰყავს საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი, აღნიშნულის განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

VII. სტანდარტების შეფასება

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.-1 შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია, ფართის შეცვლის მიზეზით საგანმანათლებლო საქმიანობას განაგრძობს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ტერიტორიაზე (ქ.ბათუმი, ტბეთის ქუჩა #4), მე-2 და მე-3 სართულებზე. თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრსა და ბათუმის სამედიცინო აკადემიას შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება ქონებით სარგებლობის თაობაზე, რომლის თანახმად, ბათუმის სამედიცინო აკადემიას უფლება აქვს გამოიყენოს თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის ტერიტორიაზე არსებული მე-2 და მე-3 სართულები და ამ სართულებზე არსებული ძირითადი აღჭურვილობა, ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართი მოიცავს A, B და C სასწავლო გარემოებს, არსებობს კომბინირებული ტიპის A/C გარემო. ფართი ასევე მოიცავს ფოიეს, სივრცეს სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა. დაწესებულებას გააჩნია სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სადაც მათ შეუძლიათ კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობა, შესვენების დროს განთავსება, შეხვედრა სტუდენტთან ან სხვ. დაწესებულებაში გამოყოფილია პროფესიული სტუდენტებისათვის სამუშაო და დასასვენებელი სივრცე სადაც ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად კომუნიკაციას, აქტივობების დაგეგმვას და დასვენებას. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ ჭადრაკის თამაშის ხელოვნებას. გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია გამიჯნული სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, არქივი და დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი.

5.1.1-2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი მარეგულირებელი დოკუმენტით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ, კოლეჯში სწავლის პერიოდში ისარგებლონ კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამავდროულად, პროფესიული სტუდენტის მოვალეობაა გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას. ამ მიზნით, დაწესებულებას ამავე მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს საბიბლიოთეკო რესურსისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების წესები.

5.1.1-3 დაწესებულებას აქვს შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა. დაწესებულებას ამისთვის გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი- დამხმარე პერსონალი (დამლაგებელი).

ვიზიტისას, ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობა-ნაგებობაში არსებული სივრცეები, რითიც დარწმუნდნენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.1.1-4 დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება ქონებით სარგებლობის თაობაზე. აღნიშნულის თანახმად, დაწესებულებას უფლება აქვს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძოს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ტერიტორიაზე (ქ.ბათუმი, ტბეთის ქუჩა #4), მე-2 და მე-3 სართულებზე. ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ შემოწმდა ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობა და გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: დაწესებულების სარგებლობაში არსებული მხოლოდ მე-2 სართულია უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მე-3 სართულზე განთავსებულია მხოლოდ კონდიციონერი გათბობისა და გაგრილების რეჟიმით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვიზიტზე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს ცენტრალური გათბობის სისტემის რადიატორების მონტაჟი. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო- 2021 წლის 1-ლი დეკემბერი). გასათვალისწინებელია, რომ შენობის მესამე სართულზე ამოყვანილია ცენტრალური გათბობის მილები, ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ გათბობის რადიატორების დამონტაჟება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1-5 დაწესებულებას ჰყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების გეგმა, სადაც გაწერილია რისკების შეფასება და მართვა, უბედური შემთხვევის მოკვლევა, საგანგებო სიტუაციები და ევაკუაცია, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი, კონტროლი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბოგვერაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებას, ასევე აქვს შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით.

5.1.1-6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია პროცედურები პასუხისმგებელი პირების მითითებით. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ახორციელებს სამედიცინო მიმართულების პროგრამებს, მას შემუშავებული აქვს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვის წესი და ნარჩენების მართვის გეგმა.

5.1.1-7 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 01-21 ბრძანებით. სახემლძღვანელო ითვალისწინებს რესურსების შეფასებასაც, ის მოიცავს მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევის კომპონენტს რესურსების საკმარისობასთან დაკავშირებით.

5.1.1-8 დაწესებულებას გაჩნია გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათბის უწყვეტი მიწოდებით. სანიტარულ კვანძებში არსებობს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნული ვენტილაცია. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია შშმ პირთათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძი მეორე სართულზე, სადაც უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდება, არსებობს ვენტილაციის შესაძლებლობა და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში ადაპტირებულია გარემო შშმ პირთათვის. მოწყობილია პანდუსი, რის საშუალებითაც მათ წვდომა აქვთ აუდიტორიასა და სხვა საჭირო გარემოსთან. დაწესებულებაში გადაადგილების დროს შშმ პირებს ეხმარება აკადემიის დაცვის სამსახურის თანამშრომელი, რომლის სამუშაო აღწერილობაში ფიქსირდება ზემოაღნიშნული მოვალეობა. შენობის შემომსასვლელში და შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებულია პანდუსები, რისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მეშვეობითაც შშმ პირები დაწესებულების დაცვის თანამშრომლის დახმარებით (საჭიროების შემთხვევაში) გადაადგილდებიან უდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის კაბინეტებში და სხვა.

5.1.1-9 დაწესებულების სასწავლო ფართის უმეტესი ნაწილი, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს დაწესებულების B სასწავლო გარემო (20 კომპიუტერი პროფ. სტუდენტებისათვის+ 1 კომპიუტერი პროფ. მასწავლებლისათვის), რომელიც არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს აღნიშნულ B გარემოში არსებული ტექნიკის განლაგება ადმინისტრაციის ორ კაბინეტში, რომელთაც აქვთ ბუნებრივი განათება. გეგმაში მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო- 2021 წლის 15 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ ზემოაღნოშნულ ორ ოთახში განთავსებული იყო ორი ადმინისტრაიცული პირი ცალ-ცალკე. აღნიშნული აქტივობის განხორციელების დროს, მოხდება მათი გაერთიანება ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სხვა ოთახში. B გარემოს ორ აუდიტორიაში გადანაწილების დროს, ერთ ცვლაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობა (20) გაიყოფა B გარემოს გამოყენების დროს, რისთვისაც საჭირო გახდება ორი პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა, ერთი კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, დაწესებულებას ჰყავს საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი, აღნიშნულის განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1-10 დაწესებულებაში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთნამანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სასწავლო ფართზე პირთა დასაშვებად არ არსებობს რაიმე სახის ბარიერი ან შეზღუდვა.

5.1.1-11 დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯს ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებული პირს თავისუფალი წვდომა აქვს საბიბლიოთეკო რესურსზე. ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ ასევე შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ფიზიკური არსებობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მეიჯარესა და აკადემიას შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
4. მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. მეიჯარესთან შეთანხმების აქტი;
6. შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება სივრცეების/ფართების ფლობა;
7. სასაქონლო ზედნადები;
8. ანგარიშფაქტურა;
9. მიღება-ჩაბარების აქტი;
10. წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო, დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 01-21 ბრძანებით;
12. დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;
13. შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. ოქტომბრის №01-109 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

14. შრომის უსაფრთხოების გეგმა, დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით;
15. ნარჩენების მართვის გეგმა, დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. 27 დეკემბრის №129 ბრძანებით;
16. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენებისუტილიზაციის წესები, დამტკიცებული აკადემიის დირექტორის2020 წლის 29 დეკემბრის №01-81 ბრძანებით;
17. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 20.02. N 01– 28 ბრძანებით;
18. სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
19. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
20. სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
21. კოლეჯის ვებ-გვერდი: დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.bmeda.edu.ge/ka
22. ინტერვიუირვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან;
23. ვიზუალური დათვალიერება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2-1 დაწესებულებას აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულების მიერ ექსპერტებისათვის წარმოდგენილ იქნა მიწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა შემოწმდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. შემდგომ, აღნიშნული სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები განოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების დარღვევათა აღმოფხვრისთვის. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით სავალდებულო ღონისძიებების შესრულების საკითხი. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ის აქტივობები, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე (მიმდინარე წლის მაისის თვე) იყო შესასრულებელი, ასევე დაწესებულების მიერ შესრულებულია ის აქტივობები, რომელთა შესრულების ვადად განსაზღვრულია მიმდინარე წლის ოქტომბრის თვე.

5.1.2-2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 20.02. N 01– 28 ბრძანებით. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას ექსპერტებმა, ვიზიტის დროს შეამოწმეს აღრიცხვის ჟურნალები, მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება, სამუშაო აღწერილობა, რომელიც შესაბამსობაშია მედდის ფუნქცია-მოვალეობასთან.

5.1.2-3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბათუმის სამედიცინო აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების გეგმა, სადაც გაწერილია მექანიზმები საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, სასწავლებელი პერიოდულად ახორციელებს შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.

5.1.2-4 დაწესებულებას წესრიგის დაცვის საკითხები გაწერილი აქვს დაცვის თანამშრომლის სამუშაო აღწერილობასა და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელთა შესწავლის საფუძველზე ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, თავის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არის შპს „თამარის დასახლება საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ბალანსზე, მის უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მეიჯარის დაცვის თანამშრომლები. ასევე, დაწესებულებას იდენტიფიცირებული ჰყავს პირი, დაწესებულების დაცვის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების მიერ ათვისებული ფართის წესრიგის დაცვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არის შპს „თამარის დასახლება საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ბალანსზე, მის ვიდეომონიტორინგზეც მეიჯარის დაცვის თანამშრომლები არიან პასუხისმგებელნი, მაგრამ მათ მიერ ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით კონტროლდება შენობის მხოლოდ გარე პერიმეტრი. რაც შეეხება შენობის მე-2 და მე-3 სართულებს, სადაც კოლეჯს აქვს უფლება განახორციელოს სასწავლო პროცესი, დაწესებულებას არ ჰქონდა დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. დაწესებულების წარმომადგენლებს, ექსპერტების მხრიდან განემარტათ, რომ სავალდებულოა ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები განთავსებული იყოს როგორც შენობის გარე, ასევე შიდა პერიმეტრზე. დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ აღნიშნულ საკითხზე მოხდა მყისიერი რეაგირება და ვიზიტის დღეს დაწესებულების წარმომადგენლებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შენობის შიდა პერიმეტრი (მე-2 და მე-3 სართულები) უზრუნველყვეს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შრომის უსაფრთხოების გეგმა, დამტკიცებული დირექტორის 2019 წ. 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით;
2. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება;
4. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 20.02. N 01– 28 ბრძანებით;
5. მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
6. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. კოლეჯის მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;
8. ინტერვიუირვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან;
9. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1-1 ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით.

5.2.1-2 დაწესებულებას გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. აღნიშნული რეგულაცია ასევე მოიცავს IT რისკების მართვას, რისკების მართვაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც გახლავთ დაწესებულების IT სპეციალისტი. ექსპერტების მიერ შემოწმდა IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა და მასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გაფორმებული ხელშეკრულება. IT სპეციალისტის მიერ კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით, ასევე მის მიერ იდენტიფიცირებულია დაწესებულებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგილები და უზრუნველყოფილია ამ ინფორმაციის დაცულობა.

5.2.1-3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 ივნისის N2895 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ: პოლიტიკის მიზანი, დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები და სხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მტკიცებულების სახით, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინეს სტუდენტთა თანხმობის ფურცლები, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

5.2.1.-4 დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები აფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

5.2.1-5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის. ასევე, მათ შეუძლიათ ისარგებლონ უწყვეტი ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) თავისუფალი წვდომის რეჟიმში. კოლეჯის შენობა-ნაგებობის ინტერნეტით აღჭურვაზე პასუხისმგებელია მეიჯარე, მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების აქტით. აღნიშნულს ადასტურებს დომენის საფასურის გადახდის ინვოისი და სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.1-6 დაწესებულებაში კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ხორციელდება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. დაწესებულებაში პერსონალისთვის მოქმედებს დაწესებულების დომეინით ელ-ფოსტის მისამართები, ხოლო პროფესიული სტუდენტებისთვის ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ისინი ერთიან საკომუნიკაციო საშუალებად ასევე იყენებენ სოც. ქსელის- ფეისბუქის ჯგუფებს, სადაც პერიოდულად ხდება ახალი ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულს ადასტურებს სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შეთანხმების აქტი;
2. დომენის საფასურის გადახდის ინვოისი;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. IT სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
6. უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
7. დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო, დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N 01-21 ბრძანებით;
9. დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.bmeda.edu.ge/ka
10. ინტერვიუირვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან;
11. ვიზუალური დათვალიერება.
12. კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 ივნისის N2895 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2-1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. ამ წესის თანახმად, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის Eflow მეშვეობით. აღნიშნულ წესში გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები; საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; კორესპონდენციების მიღების, აღრიცხვის (რეგისტრაციის) და გაგზავნის პროცედურები და სხვ.

5.2.2-2 კოლეჯი იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მათი თქმით ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365 და სხვა პლატფორმები. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა, დაწესებულების მიერ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით სარგებლობის გამართულობა.

5.2.2.-3 დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს საქმისწარმოების სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობაც ადასტურებს აღნიშნულ ფუნქციას. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის გამართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.2-4 დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ამ პროცესებზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია, თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ხოლო ინფორმაციის უშუალო მიწოდება ევალება საქმისწარმოების სპეციალისტს. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ საჭირო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების საკითხები. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება გონივრულ ვადაში აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან (მაგ. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტები, დროულად იქნა მოწოდებული).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
2. საქმისწარმოების წესი;
3. ინტერვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან;
4. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
5. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
6. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3-1 დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია მთავარი სიახლეები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, დასაქმების შესაძლებლობები, ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვა.

5.2.3-2 დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, შესაბამისად დაწესებულების ვებ. გვერდი მხოლოდ ქართულენოვანია.

5.2.3-3 დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების ოფიციალური ვებ გვერდითა და სოციალური ქსელით (Facebook).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5.2.3-4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულებას ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ კატალოგში ასახული აქვს ის ფაქტი, რომ კოლეჯის სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია დაწესებულების პარტნიორი კომპანიების მიერ, რაც დადებითად აისახება კოლეჯის პრესტიჟზე.

5.2.3-5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

5.2.3-6 დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება არსებული საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის სოციალური ქესლიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის შესახებ საუბარია დაწესებულების მიერ შემუშავებულ „საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურებში“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.bmeda.edu.ge/ka
2. ვებ გვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
3. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი
4. „საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები“.
5. დაწესებულების ფეისბუქ-გვერდი;
6. ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. ინტერვიუ კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მე-5 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	გადაწყვეტილება #45, 27.02.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ტბეთის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1-1 წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A,B, C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ბათუმის სამედიცინო აკადემიის ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 80. დაწესებულება ორი სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველ სასწავლო წელს გეგმავს 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აღნიშნულ პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში (თითო ცვლაში 20-20 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქოში) ასახული მატერიალური რესურსი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქოს) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს ორი A/C, ერთი A (ფარმაციის კაბინეტი/აფთიაქის მოდელი; ქიმიურ -ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია; სამედიცინო კაბინეტი) და ერთი B (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო. რაც შეეხება B სასწავლო გარემოს, ამ ეტაპზე დაწესებულებას აქვს ერთი B გარემო. აღნიშნულ სასწავლო გარემოში განთავსებულია 20 ერთეული კომპიუტერი (20 ერთეული სტუდენტებისათვის და 1 ერთეული მასწავლებლისათვის), პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული B სასწავლო გარემო არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს აღნიშნულ B გარემოში არსებული ტექნიკის განლაგება ადმინისტრაციის ორ კაბინეტში, რომელთაც აქვთ ბუნებრივი განათება.

სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), გამსრალი სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ჰერბარიუმები, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები , სინჯარები, მინის წკირები, სასაგნე მინები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50.100,250, 500მლ.), მინის კოლბები, სხვადასხვა ზომის შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, შტატივები, როდინები სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, რეფრაქტომეტრი, რეაქტივები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დაფა, თვალსაჩინოებები, და სხვა.

სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - სააფთიაქო ბლოკი - განკუთვნილია 40 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით, ცარიელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შევსებული რეცეპტებით, ბავშვთა კვების, დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების, ავადმყოფის მოვლის საშუალებების სხადასხვა ჯგუფის პრეპარატების სიმულაციური ნიმუშებით. და სხვა.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა ორივე A/C გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის ფიზიკური, შერჩევითი დათვალიერება, გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რამოდენიმე ფარმაცევტულ კომპანიასთან. ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1-2 პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 23 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 6 დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ფარმაცია (სააფთიაქოს) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები მიღებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ B გარემოს ორ აუდიტორიაში გადანაწილების დროს, ერთ ცვლაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობა გაიყოფა (B გარემოს გამოყენების დროს), რისთვისაც საჭირო გახდება ორი პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა, ერთი კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, დაწესებულებას ჰყავს საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი, აღნიშნულის განსახორციელებლად.

2.2.1-3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და მოხდა მათთან გასაუბრება “ZOOM”-ის პლატფორმის საშუალებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1-4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი (მ.კ), რომელიც დანიშნულია ბრძანებით, მისი კვალიფიკაცია არის დამაკმაყოფილებელი, დაწესებულებას გაწერილი აქვს მისი ფუნქციები და ვალდებულებები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ინტერვიუირების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესწავლისა და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1-5 საგანმანათლებლო პროგრამაში ფარმაცია (სააფთიაქო) მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა შემოწმდა შემთხვევითი შერჩევით, რის საფუძველზეც დასტურდება მათი ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც მატერიალურ, ისე აკადემიის ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული წიგნების სახით. ასევე, მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები (ნორმატიული აქტები) ადმინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტრაციის წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომია ავტორიზებული მომხმარებლის სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში.

2.2.1-6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია შემდეგი საკითხები: პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვა და სხვა. დაწესებულების განმარტებით მათ არ ჰყოლიათ სსსმ პირი და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ სასწავლო რესურსის ადაპტირებას, რაც გაწერილი აქვთ რეგულაციაში. (საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, მუხლი 32. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა).

2.2.1-7 დაწესებულებას გააჩნია პროგრამის ბიუჯეტი. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 20 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასურია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადმინისტრაციის ხარჯები, პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება, მასალა და ნედლეული, საკანცელარიო და საოფისე ხარჯები, კომუნალურები და საიჯარო ქირა, დიპლომის დანართის ხარჯი, გაუთვალისწინებელი ხარჯები, სასწავლო ვიზიტი და პრაქტიკის ორგანიზება, სტუდენტური ღონისძიება და პერსონალის განვითარება, პროგრამის განვითარების ხარჯები. ექსპერტთა აზრით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ მასწავლებლებთანპირადი საქმეები;
2. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. პერტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
6. პროგრამის ბიუჯეტი;
7. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
8. შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;
9. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, მუხლი 33. ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია
10. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, მუხლი 32. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა;
11. ვებგვერდი- https://www.bmeda.edu.ge/ka
12. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
13. ვიზუალური დათვალიერება;
14. ინტერვიუ კოლეჯის მოდულის განმახორციელებლებთან;
15. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია, დამტკიცებული დირექტორის N3689 ბრძანებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1-1 ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქოს) სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. პანდემიის გამო სასწავლო პრაქტიკის მოდულები ვერ ხორციელდებოდა პრაქტიკის ობიექტებზე და დაწესებულება იმ პერიოდში ახორციელებდა მხოლოდ თეორიულ მოდულებს ონლაინ სწავლების რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ მოქმედ სასწავლო გეგმაში განხორციელებულია ცვლილება ამ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტების შეფასებით, პროგრამა მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.-2 აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის ცვლილება ან/და დისტანციურად დაგეგმვა არის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოწესრიგებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დებულებით. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ინტერვიუირებით დაზუსტდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებების არსებული პრაქტიკა განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით.

2.4.1-3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების

გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

2.4.1-4 დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. დაწესებულების მიერ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება შეზღუდული შესაძლებლობები, პროგრამაში ცვლილება ან მისი გაუქმება. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ასევე, ყველა ისეთი შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება.

2.4.1-5 დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს დადებული რამდენიმე ფარმაცევრტულ დაწესებულებასთან [redacted] კომპანია 01.08.2019; შპს“ჰეკატე“ 03-11 (12 ფილიალი) შპს „ გვირილა“; 03-08, შპს 03ჰ-07 16.02.2019 „მეგაფარმი“ ; გოლდფარმი“ 11.05.2021; სააფთიაქო ქსელი „გლუკოზა“ 04-04, 11.05.2021. ს/კ.245419355) რომლებიც საერთო ჯამში თავისუფლად უზრუნველყოფენ დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ბუბუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
2. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;
3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;
4. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;
5. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
6. პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
7. ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;
8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები.

2.4.1-6 დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაციის(სააფთიაქო) ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. დაწესებულების A/C გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევეის დროს მოქმედების წესები. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათელების მასწავლებლების მინიმალურ უსაფრთხოებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებეს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანიასთან (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ), რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე და თერმულიდამუშავება).

პროგრამის უსაფრთხო სასწავლო გარემოში განხორციელებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვის წესი; ავარიული სიტუაციების ლიკვიდაცია ქიმიურ ლაბორატორიაში; პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში; ნარჩენების მართვის გეგმა 2021-2026. ამრიგად, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სასწავლო და კალენდარული გეგმები;
4. ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების მართვის წესი;
5. ავარიული სიტუაციების ლიკვიდაცია ქიმიურ ლაბორატორიაში;
6. პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში;
7. ნარჩენების მართვის გეგმა 2021-2026;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. კოლეჯის წარმომადგენლებთნ, განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2-1 დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 24), სადაც ასახულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს. დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელოში გაწერილი აქვს მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შეფასების შედეგების გაცნობისა და სტუდენტთა ინფორმირების საკითხები პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესში. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს აპელაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.4.2-2 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დებულება, სადაც გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები. მტკიცებულებათა ვერიფიკაცია ხდება შერჩევით. აღნიშნულ დებულებაში ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გოგუნავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საუბარია ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, რომელიც უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დებულების თანახმად, ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას დაწესებულებაში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით; ასევე, ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული პროგრამა განხორციელების პროცესშია, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინეს განხორციელებული ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც შეფასებულია მოდულის ინსიტრუმენტის ვალიდურობა, ვერიფიკაციის ბოლოს კი წარმოდგენილია შენიშვნების შეჯამება. რაც შეეხება ვერიფიკაციის დასკვნას, დაწესებულების ხარისხის მენეჯერის განმარტებით, პროგრამის დასრულების შემდეგ წარუდგენს დირექტორს პროგრამის ვერიფიკაციის დასკვნას.

2.4.2-3 დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელოში გაწერილი აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება უწყისით, რომელიც უვადოდ ინახება, ხოლო შესრულების მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით.

აღნიშნული რეგულაციების თანახმად, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა და აღრიცხვა ინდიკატორით გათვალისწინებული ვადით.

2.4.2-4 დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს კი დაცულია სტუდენტთა პერსონალური მონაცემები. აღნიშნული დასრურტება პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბუბუნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულება;
2. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის შემოწმების ჩეკ-ლისტი;
3. შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო.
5. პროფესიულ სტუდენტთა უწყისები და მტკიცებულებები;
6. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
7. გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
8. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შესაბამისობის გეგმა

თარიღი

08.09.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [illegible]